<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბერძნის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის ხელოვნების ისტორიკოსი რუსუდან მეფისაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, ბერძნის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ ოთხ ჩიხს მიენიჭოს ხელოვნების ისტორიკოსი რუსუდან მეფისაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:485,043.262
Y:4,614,635.227
X:485,124.499
Y:4,614,635.782
X:485,044.321
Y:4,614,580.193
IV ჩიხი
III ჩიხი
რუსუდან მეფისაშვილის ქ.
X:485,119.462
Y:4,614,549.078
X:485,050.036
Y:4,614,535.955
X:485,111.419
Y:4,614,527.700
X:485,126.659
Y:4,614,543.575
X:484,925.575
Y:4,614,565.165
II ჩიხი
რუსუდან მეფისაშვილის ქ.
X:485,106.127
Y:4,614,507.803
X:485,139.778
Y:4,614,513.068
X:485,254.718
Y:4,614,466.528
X:485,124.009
Y:4,614,476.449
I ჩიხი
X:485,189.101
Y:4,614,470.550

რუსუდან მეფისაშვილი

(1913-2002)

ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დამფუძნებელი

დაიბადა 1913 წლის 4 სექტემბერს, ინჟინრისა და გამომგონებლის, სამსონ მეფისაშვილის ოჯახში.1935 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით. იმ წლებშივე სხვა მკვლევარებთან ერთად მხარში ამოუდგა გიორგი ჩუბინაშვილს და მისი მეთაურობით არა მარტო ფართოდ გაშალეს ჩვენი ერის მხატვრული შემოქმედების შესწავლა, არამედ საკუთარი სახისა და პრინციპების მქონე ქართული ხელოვნებათმცოდნეობითი სკოლაც შექმნეს. რუსუდან მეფისაშვილმა მალევე დათმო პროექტირება და მთელი ცხოვრება სამეცნიერო მუშაობას, ძველი ხუროთმოძღვრების ნიმუშთა აზომვასა და ფოტოფიქსაციას, შუა საუკუნეების ტაძრებისა თუ XX საუკუნის ბინათმშენებლობის კვლევას მიუძღვნა. 1941 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. აგრეთვე განაგებდა ინსტიტუტის არქივს. რ. მეფისაშვილს არაერთი მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული: ვალეს ღვთისმშობლის ტაძარი და მისი აღმშენებლობის 2 პერიოდი; ერედვის წმ. გიორგის ტაძარი 908 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი; სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ბანას ეკლესია და სხვა. აღსანიშნავია ვრცელი ნაშრომი გელათის მონასტრის შესახებ. ეს ნაშრომი გახლავთ რუსუდან მეფისაშვილის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან ბრწყინვალედ დაიცვა და მიიღო არქიტექტურის დოქტორის წოდება. 1974-1976 წლებში რ. მეფისაშვილი იყო კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო მეთოდური საბჭოს წევრი; რუსუდან მეფისაშვილი იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის პირველი დოქტორი ქალი ამიერკავკასიაში. რუსუდან მეფისაშვილი ითვლება გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დამფუძნებლად.